ა ნ გ ა რ ი შ ი

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური საკითხთა კომისიის მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისია წარმოადგენს საკრებულოს მუდმივმოქმედ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტითა და სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთ კომისიის დებულებით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა განხორციელებას.

კომისია შექმნილია საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადების და გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის მიზნით. კომისია მუშაობას წარმართავს სამუშაო გეგმის მიხედვით. ასევე, განიხილავს საკრებულოში შემოსულ რიგგარეშე საკითხებს.

სოციალურ საკითხთა კომისია კოორდინირებულ მუშაობას ახორციელებს საკრებულოს კომისიებთან, მუნიციპალიტეტის მერიასთან და შესაბამის სამსახურებთან.

კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში საკრებულოს სხდომისთვის ამზადებს საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტებს, დასკვნებს, წინადადებებს, რეკომენდაციებს და წარუდგენს საკრებულოს ბიუროს.

განიხილავს წერილებს, რის თაობაზეც, არსებული წესით, მოახსენებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, ბიუროსა და საკრებულოს სხდომებს. საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოს რეგლამენტითა და კომისიის დებულებით ახორციელებს მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიამ 2023 წელს ჩაატარა 5 სხდომა, სადაც განხილულ იქნა 19 საკითხი. ასასევე ჩატარდა 2 საკრებულოს კომისიების გაერთიანებული სხდომა. კერძოდ:

16 თებერვალს:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის ანგარიშის მოსმენა 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ
2. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსის ანგარიშის მოსმენა 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ
3. ა.(ა).ი.პ. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის“ დირექტორის ანგარიშის მოსმენა 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ
4. ა.(ა).ი.პ. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის“ დირექტორის ანგარიშის მოსმენა 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ
5. ა.(ა).ი.პ. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების“ დირექტორის ანგარიშის მოსმენა 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

8 თებერვალს საკრებულოს კომისიების გაერთიანებული სხდომა:

1. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის 2022 წლის საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ“

31 მაისს:

1. შ.პ.ს. ,,სენაკის ბავშთა საავადმყოფოს” მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე

2. შ.პ.ს. ,,სენაკის სამშობიარო სახლი”-ს მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე

3. შ.პ.ს. ,,სენაკის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების” მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე

4. შ.პ.ს. ,,სენაკის საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანები”-ს მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე

16 აგვისტოს:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ ანგარიშის მოსმენა 2023 წლის I და II კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ
2. ა.(ა)ი.პ. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრის“ დირექტორის ანგარიშის მოსმენა 2023 წლის I და II კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ
3. ა.(ა).ი.პ. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის“ დირექტორის ანგარიშის მოსმენა 2023 წლის I და II კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ
4. ა.(ა).ი.პ. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტერის“ დირექტორის ანგარიშის მოსმენა 2023 წლის I და II კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ
5. ა.(ა).ი.პ. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების“ დირექტორის 2023 წლის I და II კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ

22 სექტემბერს:

1. ა.(ა).ი.პ. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების“ დირექტორის ანგარიშის მოსმენა 2023 წლის I და II კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ

21-22 ნოემბერს:

1. „სენაკის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე”

20 დეკემბერს:

1. ა.ი.პ. „სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების“ დირექტორის ანგარიშის მოსმენა 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ
2. ა.ი.პ. "სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"-ს დირექტორის ანგარიშის მოსმენა 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ
3. ა.ი.პ ,,სენაკის საფეხბურთო კლუბის" დირექტორის ანგარიშის მოსმენა 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ
4. ა.(ა)ი.პ. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრის“ ანგარიშის მოსმენა 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

კომისიის სხდომებზე დასმულ კითხვებთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ წარმოდგენილი იქნა დამატებითი ინფორმაციები. ზემოთ განხილულ საკითხებთან დაკავშირებით, საკრებულოს წარუდგენს წინადადებებს, რეკომენდაციებს და დასკვნებს

ა) განათლების, კულტურის და სპორტის განვითარების მუნიციპალურ პროგრამათა პროექტების შესახებ;

ბ) სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების არასამეწარმეო (არაკომერციული) პირის ფორმით შექმნისა და მათი ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ საკითხების შესახებ;

გ) ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლოთეკების, მუზეუმების, თეატრების, გამოფენების და სპორტულ-გამანჯასაღებელი ობიექტების საქმიანობის ხელშემწყობი მუნიციპალური პროგრამათა პროექტების შესახებ;

დ) ჯამრთელობის დავისა სანიტარულ -ეპიდემოლოგიურ მომსახურების მუნიციპალური პროგრამათა პროექტების შესახებ;

ე) მოსახლეობის შრომითი მოწყობისა და დასაქმების ხელშემწყობი მუნიციპალური პროგრამათა პროეტების შესახებ;

ვ) თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან მოსახლეობის დამატებითი სოციალური მომსახურების სახეების დაფინანსების შესახებ.

ზ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონეპირთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების პირობების დადგენის შესახებ.

თ) კანონმდებლობით დადგენილი წესით, უსახლკარო პირების თავშესაფრით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ.

ამავე პერიოდში განხილული იქნა სხვადასხვა შინაარსის განცხადება. რიგი წერილებისა განსახილველად გადაეგზავნა მუნიციპალიტეტის მერიას და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ ეცნობა განმცხადებლებს. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთ კომისია განაგრძობს მუშაობას კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.